წელიწადი 1-ლი. გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. შაბათი ნოემბრის 25—(7) 1917

ჩვენი ქვეყანა

გამოდის შაბათ-ოთხ. ოთხ. 3 ... ... 1 ... 3 ... ... 1 ... 3 ... 6 ... 8 ... 1 ... 10 ...

ცალკე ნომერი

ბანცხადება: პირველ გვერდზე ... 3 ... 1 ... 3 ... 6 ... 8 ... 1 ... 10 ...

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლში. კანტორა ღია ... 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 184 ეროვნული სოციალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 184

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას ნოემბრის 26-ს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ დეკანოზ

მელიტონ მიხეილის ძის ცაგერეიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მატრონა კირილეს ასული ცაგერეიშვილისა შვილებით ნანო, ლიდა, არჩილ და დავით ცაგერეიშვილები.

განცხადება.

კვირას, ნოემბრის 26-ს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში (თფილისის ქუჩა სახლი მიქელაძისა) დანიშნულია საქართველოს ეროვნულ დემოკატიულ მიმართულების სტუდენტთა (ორივე სქესისა)

სასწრაფო სხდომა

ფრიად საპირო კითხვების გადასაწყვეტად. კრებაზე დასწრება სავალდებულოა. კრება დაიწყება დილის 11 საათიდან.

ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ კომიტეტის სახელოსნოში დამზადებული

წუღები

გადაეცა ოთხს სარაიონო სასურსათო კომიტეტს. ეს წუღები ღირან ოჯახებს შეუძლიათ შეიძინონ კომიტეტის მიერ დაწესებულ ფასებში. ჩაწერა წუღების შესაძენად შეიძლება რაიონების კომიტეტებში ოცდა სამ ნოემბრიდან.

ქ. ქუთაისის სასურსათო გამგეობა.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წუალ-გამოლმა) უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო კეთილისაგან დამზადებულ საზოგადოების დარბაზში ხასნინ ბოკერიის სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების საგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრთა ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

საზოგადო საკრებულოს დარბაზში შაბათს, 25 ნოემბერს

დიდი საღამო

კაზარე

მონაწილეობას მიიღებენ:

თფილისიდან: ქალ. ჯავახიშვილისა, ბ. ფალავანდიშვილი,

ბათომიდან: ქ.ქ. სოკან-მორიერინი, ინანა ლიუბიჩ და ბ. ლანსკი

და ადგილობრივი ხელოვანნი.

საუერთო ეროვნისთვის ცალკე დარბაზია მოწყობილი,

საცხოვრო ვახშამი, პატარა ცხენების დღი,

ამერიკული და ჩვეულებრივი ვაჭრობა, ლოტო, ყავახანები და სხვა.

დარბაზი მორთულია. ✖ დაწვრილებით პროგრამებში. ✖ დასაწყისი 8 საათზე.

გამგე ქალთა წრე.

საქართველოს ეროვნული ყრილობა

კადეტთ პიუროს დარბევა

ბოლშევიკები დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ძალადობას მიმართავენ, განსაკუთრებით მიწაზე ამოღებული ჰყავთ კადეტები. არჩევნების დღეს დაარბიეს და დამტვრიეს კადეტების საუბნო კომიტეტის პიურო.

კერენსკი საზღვარგარეთ

ქრისტეანიაში უნახავთ კერენსკის მდივანი, რომელიც ინგლისში მიდენილა. მას ჟურნალისტებისთვის უთქვამს, კერენსკი ყოველივე ბიფათს მოშორებულია და არაფრის შიში არა აქვს; მას მოშავლია დიდი ამები აქვს. კერენსკი ამბობს: ბოლშევიკებს ამბოხების მოხდენის წინ მოლაპარაკება ჰქონდა გერმანეთის მთავრობასთანაო. ჟურნალისტების აზრით კერენსკი ინგლისში უნდა იყოს.

ბოლშევიკების მთავრობაში

სახალხო კომისრების მთავრობა ახალ ბინაზე გადადის. მისთვის დაცლილია სმოლნის ინსტიტუტში მე-3-ე სართულის ნაწილი. სხვათა შორის ახალი მთავრობა დიბეერს უბრწყინვალეს ალიანინა ლიეონის ოთახს. სახალხო კომისრების ბინაზე მოსახვედრად საჭიროა წითელ გვარდიელების რამდენიმე პაკეტის შეუა გაკეთ. ამ დღეებში შემოიღებენ საგანგებო ბარათებს სახალხო კომისრების საბჭოში შესასვლელად.

ელჩების გადაყენება

პეტროგრადი. გიორგ. 18. ტროცკიმ გადაიყენა ყველა საზღვარგარეთ მყოფნი ელჩები, რომელთაც მთავრობას ნდობა არ გამოუცხადეს.

სამინისტროს მოსამსახურეთა პროტესტი

პეტროგრადი. გიორგ. 21. ეკონომიკურ წყვეტილობის სამინისტროს უმფროსმა მოსამსახურეებმა პროტესტი განუცხადეს სამინისტროს უფროს მოსამსახურეებს მუშაობის შეწყვეტის გამო და მოითხოვენ დაუბრუნდნენ საქმეს.

სკოლის რეფორმის მოთხოვნა

პეტროგრადი. გიორგ. 21. საშუალო სასწავლებლების სოციალისტი მასწავლებლები და მოწაფენი მოითხოვენ სწავლების საქმეში ძირითადი რეფორმების მოხდენას და ლუნაჩარსკის სახალხო კომისარად დანიშვნის გამო საღალს უცხადნიან.

გლეხთა საბჭოს მოწოდება

პეტროგრადი გიორგ. 21. გლეხთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს გლეხებს ყოველგვარ საშუალებით მხარი დაუჭიროს საადგილ-მამულო კომიტეტებს ხელი შეუწყოს მათ მუშაობას, რომელიც მიმართულია მიწების, სამეურნეო იარაღის და მუშა საქონლის გლეხებისადმი უსასყიდლოდ გადაცემის კანონის განხორციელებისაკენ და დაიცვან ეს კომიტეტები გადაყენებულ მთავრობის მხრივ ძალადობისა და დევნისაგან. გლეხობას ბრძოლაში მხარს დაუჭერენ როგორც ჯარი ისე მთელი მუშათა კლასი, დასძენს საბჭოს თავმჯდომარე სპირიდონოვის ქალი.

მესამე დღე

ყრილობა გახსნა დღის პირველ საათზე ბ-ნმა ჟორდანიამ. თავმჯდომარემ პირველი სიტყვა მისცა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენელს თავად კ. აფაზაზს ტრიბუნაზე ადის. მას ტაშის ცემით ეგებებიან.

კ. აფაზი. მე წარმოვსდგები თქვენს წინაშე თბილისის გუბერნიის თავად აზნაურების დავალებით, რათა გაუწყოთ თავადაზნაურთა ყრილობის დადგენილება ნოემბრის 29 დღისა. ამ დღეს გადაწყდა, რომ მთელი თავად-აზნაურების ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქმნას ქართველი ერი...

ეს ქონება არ იყო მამა-პაპის მიერ შთამომავლობითი დატოვებული, არამედ იყო, თავად-აზნაურობის მიერ შენაძენი ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. თავად-აზნაურობას დიდი წარსული აქვს საბუღარო ასპარეზზედ. ამას გარდა სამოქალაქო ასპარეზზედაც მრავალი შესანიშნავი პირი მოგვცა ამ წოდებამ. (ტაში).

თავად-აზნაურობა შეუერიგებელი ტერი იყო რუსეთის ძალ-მპრობობისა. მთიულეთის, კახეთის და იმერეთის ამბოხებებში თავად-აზნაურობამ მიიღო მეთაურობა და ხელმძღვანელობა. მაგრამ ამ ამბოხებებმა ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა ვერ შესცვალა. საქართველო ვერ იხსნა რუსეთის კლანჭებისაგან. ალბად რუსეთი ძალით უნდა გაბატონებულიყო ჩვენ ზე. რუსეთმა საქართველოს ტერიტორია ერთნაირ საშუალებად გაიხადა თავისი დაპყრობითი პოლიტიკისთვის. ქართველი ერი, ერთად ერთი ერი იყო, რომელსაც შეეძლო წარსული მოეგონებინა და რუსეთის დაპყრობითი გეგმები დაეშალა. ამ გარემოებამ რუსის წრეში შიში დაჰბადა, რაც ქართველთა შევიწროებაში გამოიხატა. ყველა მათ მოჰყვა რუსეთის ადმინისტრაციის გაძლიერება ჩვენ ში, რასაც დაერთო უცხოელთა კოლონიზაცია და უცხო კაპიტალის შემოტანა ჩვენ ში. ამან კი ქართველი ერის დაბეჩავება და დაუძლურება გამოიწვია. ქართველობა თანდათან იდეენებოდა, ქართული სული თანდათან ჰკარგობდა. ქართველმა თავად-აზნაურობამ ხელი მიჰყო კოლექტიურ ქონების შეძენას, და მოკლე ხანში პატრონი გახდა იმ ქონებისა, რომელიც მან დღეს ქართველ ერს უანდერძა.

სათავად-აზნაურო ბანკი.

1874 წ. დიმიტრი ყიფიანის მუყაითობით დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკი. ბანკს წესდებაში აღიარებული იყო, ბანკის მოგების ნახევარი მოხმარდეს მწის მუშას. ბანკმა დიდი შემოსავალი მისცა თავად აზნაურობას. დღეს ბანკი წლიურად წაინდა შემოსავალს ლეიძვ 3000,000 მან. ამ მოგებით იკვებება ოცდა-ათი ქართული კულტურული დაწესებულებანი.

კახეთის რკინის გზა.

ამ გზის დიდი ხნის ისტორია აქვს. თავად-აზნაურობას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. ბოლოს 1915 წ. ამ გზაზე მატარებელმა დაიწყო მუშაობა. ამ გზამ დიდი სამსახური გაუწია კახეთის მცხოვრებლებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს რკინის გზა რომ არ ყოფილიყო, კახეთის მცხოვრებლები ამ ომის დროს შიმშილით ამოიხოცებოდნენ. ამ რკინის გზის ღირებულება 18 მილიონ მანეთს აღემატება.

თავად-აზნაურთა შენობა

სასახლის ქუჩაზე, რომლის შემოსავალი წლიურად 120,000 მ. იძლევა!. თავად-აზნაურობას აქვს ელექტრონის სადგური, რაც წლიურად იძლევა 100,000 მ. წმიდა შემოსავალს.

ქართული გიმნაზია, რომლის შენობის ღირებულება ორ მილიონს აღემატება. ორატორმა შემდეგ ყრილობას წაუკითხა თავად-აზნაურთა ყრილობის დეკლარაცია ქართველ ერისადმი და ასე დასასრული თავისი მოხსენებისა—თავად აზნაურობის ნაბიჯი მუხლის მოდრეკა კი არ არის, არავედ მისალმებაა ქართველი ერისადმი (ტაში). კ. აფაზის შემდეგ სიტყვა მიეცა ქუთაისის თავად აზნაურთა წინამძღვარს თავად დ. ნიკორაძეს, რასაც ტაშით მიეგებენ.

დ. ნიკორაძის სიტყვა.

მამულიშვილნო!

მეტად და მეტად ბედნიერი ვარ. რომ მეც წილად ხვდა მოვესალმო ამ ტრიბუნიდან ამ სანატრელს პირველ საქართველოს ეროვნულ კრებას, სრულებით მეტად მიმაჩნია კვლავ განვიმეორო და გავახსენოთ ისტორიული დავწილ ქართველ თავად-აზნაურობისა, თავის სამშობლოს და ქართველ ერის წინაშე, რადგან ყო-

ველივე ამას შეეხო და განმარტა კონსტანტინე აფხაზმა. კარგი იყო იგი თუ ავი ერთ გვარად უწევდა სამსახურს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობა ისე დასავლეთ საქართველოსა რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში და თვით რუსეთთან შეერთების შემდეგაც, რამდენადაც ეს მათ შეეხოდა იმ ფარგლებში შომწყვეტელსო, რომლებშიაც იგი ორმოცდა-ათ წლებიდან რუსის მთავრობამ ჩაიყენა კანონების მეტრე ტომის ზეგავლენის ქვეშ.

დასავლეთ საქართველოს აზნაურობამაც რვა ამა გიორგობისთვის ისეთივე დადგენილება გამოიტანა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობამ. მან თავის მემკვიდრედ აღიარა სრულიად ქართველი ერი, თუმცა დასავლეთ საქართველოს აზნაურობას, ისეთი სიმდიდრე არა ჰქონია. როგორც ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობას მაგრამ მან თავისი მწეალილი ერთათ ამ უკანასკნელთან გარდასცა ერს.

დადგენილება აზნაურობის კრებისა ამის შესახებ მე უკვე ვაახელი თბილისის აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ეს ცხადოვე ერთად აღმოსავლეთ აზნაურობის კრების დადგენილებასთან გარდასცეს იგი კუთვნილებისამებრ. დასავლეთ საქართველოს აზნაურობისგან ერზედ გარდაცემულ მამულებს შეიცავენ: ქართული გიმნაზია თავის შენობებით, სენაკის სკოლა თავის შენობებით, აზნაურობის ბანკი, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის დაარსებული, როგორც თფილისის აზნაურობის ბანკი და ერთი და იგივე წესდება აქვთ.

შემდეგ ერთსულოვნებისა და სოლიდარობისა, ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელნიც ამ სანატრელს ეროვნულ კრებაზე გამოარკვა ((ოტა გამოჩალისით, მე სულით და გულით აღფრთოვანებული ვბრძენდები დასავლეთ საქართველოში და ვახარებ მას, რომ საქართველო აღსდგა! ქართველი ერი ხელი ხელ ჩაკიდებული ერთ-სულოვნად და ერთგულოვნად განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა, დადგა საქართველოს თავისუფლების დროშის ქვეშ და იგი ამ დროშის ქვეშ დაუყოვნებლივ განხორციელებს დიდის ხნის თავის იდეალებს, თავის დიდებულ ისტორიას სავსებით აღდგენისა მაშ გაუმარჯოს ქართველ ერს. (ტაში).

ნ. ჟორდანიას სიტყვა.

ნ. ჟორდანია პირველი ეროვნული ყრილობა მადლობას უცხადებს ქართველ თავად-აზნაურობას (ტაში), ყრილობა ფიქრობს, რომ დღეიდან ეს წოდება გვერდში ამოუდგება ქართველ ერს. აზიერიდან საქართველოში პრივილეგიური წოდება აღარ არსებობს. (ტაში). ამიერიდან ქართველი ერი იურიდიულად შეიქმნა ერთი მთლიანი და ეს იქნება მერმისის საფუძველი. მთავრობის აქტი წოდების გაუქმების შესახებ ამ დღეებში გამოქვეყნდება.

მილოცვები

ამის შემდეგის, დადაინმა წაიკითხა დეპეშები – მილოცვები ქართულ ყრილობისადმი. ქართულ ეროვნულ ყრილობას სალამს უძღვიდენ გიმნაზიელთა საახალ შენო, თბილისის უმაღლესი ქალთა კურსები, კავკასიის ებრაელთა სოციალისტების კომიტეტი, ერეკვანის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებიდან, და მუსულმანებიდან.

ა. ჩხენკელის სიტყვა.

მოქალაქენო! მე ბედად მხვდა პირველს საქართველოს მოვახსენო საქ. ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს სახელით მხურვალე სიტყვა მილოცვისა და სიხარულისა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ან რატომ არ უნდა გვიხაროდეს, როცა ვხედავთ აქ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან თავმოყრილ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ეს პირველი ეროვნული ყრილობა ჩვენს ხალხისა. დღევანდელი დღე – 19 ნოემბერი—ბრის დღეა, რომელიც არ ამოიფხეკება ჩვენი ხსოვნიდან. მართალია დღევანდელს ყრილობას ვერ დავუძახებთ საქართველოს ნამდვილ სახეს, მაგრამ თუ მოვიღებთ მხედველობაში, რომ ამ ყრილობაზე წარმოგზავნილი არიან ყველა საკულტურო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დელეგატები, რომ აქ არიან ჩვენი დაბა ქალაქების ნორჩ დემოკრატიის და მის ალმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლები, რომ აქვე მონაწილეობენ საპროფესიო კავშირების და მუშათა და ჯარისკაცთა საერთოეროვნული ორგანიზაციების რწმუნებულნი, თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ რომ ასეთ შემადგენლობის ყრილობა უეჭველად გამოსთქვამს ქართველ ერის ნამდვილ გულის ფეთქვას. ეს ბრალია:

აქვე არიან სტუმრები და ნება მომეცეთ თქვენი ხახელით მივესალმო მათ ჩვენს სტუმრებს, პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის კომასარიატს, რომელიც სრულის შემადგენლობით აქ იმყოფება (ისმის ტაში).

მივესალმები აგრეთვე ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ ცენტრის დელეგატებს (ტაში). აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლნი: ინგლისის საფრანგეთის ამერიკის, სპარსეთის და იტალიის ნება მომეცეთ თქვენის სახელით მათ მივესალმი (დიდი ტაში). აქვე კავკასიის ფრონტის სარდალი პრეკეალსკი (ტაში, ბაუბა). მე ვიტყოდი თქვენს მაგიერ; გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას! (ხმები: გაუმარჯოს! ტაში) გაუმარჯოს ავრეთვე ყველა ერთა და სახელმწიფოთა სამართლიანს დემოკრატიულ ზეს (ხმები: გაუმარჯოს! ტაში) აქვე არიან მოქალაქენო, ჩვენ ძვირფას მეზობელ ერების წარმომადგენლები! სპარსეთის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, აფხაზეთის, ებრაელების, სომხების, თათრების, ლიტვის (ტაში). გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას! (მხურვალე ტაში).

მოქალაქენო! დღეს ჩვენ ფრიად სამეფისწერო და საპასუხისმგებელო მოვალეობა განვიცდით. მთელი რუსეთი ომის ქარცეცხლითაა მოცული. მრავალი საკითხი უფეს მას წინ გადასაწყვეტად. დღიურ წესრიგშია დასმული რუსეთი სხვადასხვა ერთა ყოფა-არ-ყოფნის საკითხი.

ჩვენ ფეხზე ფამოდგომით პატივს ვსცემთ იმ უთვალავ მსხვერპლს ამ ომმა რომ შეიწირა, პატივს ვსცემთ იმ გმირებს, რომელთა სისხლით და სიკვდილით მოვიპოვეთ დღეანდელი ბედნიერება და თავისუფლება, მუხლს ვიდრეკთ ჩვენ ვმრთ ძმათა უთვალავ საფლავების წინაშე. ისინი იბრძოდენ მთლიანობისთვის. გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიის ერთის მთლიანს ფრონტს (ტაში).

მოქალაქენო! ჩვენ, ამიერ-კავკასიის ერებს, შეგვიძლიან თავი მოვიწონოთ იმ როლით, რომელიც მივიღეთ და დღესაც ვიღებთ რუსეთის რევოლუციაში. და დღეს როცა რუსეთს არა ჰყავს ერთი ცენტრალური მთავრობა, ჩვენ მაინც ვიტყვით იმას, რაც გვთქვამს: გაუმარჯოს რუსეთის მთლიან დემოკრატიულ რესპუბლიკას! ის ძლიერი ტალღა რომელიც 25 ოქტომბერს გადმოსროლილა ცენტრიდან და პერიფერიებს დადუპვას გვიქადის, გვაკარნახებს დაფუძვის ასაკეთნაი სწორეთ ამ პერიფერიების გამაგრებას. ჩრდილო კავკასიაში უკვე გახსნენ ეროვნულ პოლიტიკური ერთეულები, რომელნიც ლაშობენ თავის საკუთარი ძალ-ღონით საკუთარ საქმეების გაძღოლას. მაშ აუცილებელია ჩვენთვისაც ეს გზა და კავშირი ერების შორის, საჭიროა ერთი პირით შეეკერთ, ერთად, ვიარათ საფრთხის თავიდან ასაცდენათ. ამიერ კავკასიის კომისარიატი ვერ შესძლებს თვის დანიშნულების შესრულებას, თუ იგი არ დაეყარა ამიერ-კავკასიის ერთა ძალას, ერთა სოლიდარობას. მე დიდი სიამოვნებით წაეკითხე მოწოდება – დეკლარაცია კომისარიატისა ამიერ კავკასიის ერებისადმი. ის ადგილი დეკლარაციისა, რომელიც ეხება ეროვნულ საკითხს, მეტათ დამაკმაყოფილებელია. ყველა ერა ამის ძალიან წარუდგენს თავის მოსაზრებებს იმისას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს და მოეწყოს მათი ბედი და იღბალი.

თუ ვინიცობაა დამფუძნებელი კრება არ შესდგა, ჩვენ ვირჩევთ დეპუტატებს, რომელნიც ჩვენ ბედს ისე გადაწყვეტენ, რაგორც ჩვენ მოვისურვებთ და დავავალებთ. ყოველ ერს უნდა ჰქონდეს რევოლიუციურ-დემოკრატიული პრინციპი, ხოლო ასეთი პრინციპის ერთთა თვითგამორკვევა, რომელიც უნდა განხორციელოს ყველა ერმა სხვა ერთა დახმარებით.

თქვენ კარგად იცით, მოქალაქენო, თუ რის ჰგულისხმობს ეს პრინციპი და როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში ეს არის ეროვნულ-პოლიტიკური თვითმართველობა საკუთარის კანონმდებლობით და (ძლიერი ტაში) მმართველობით. ამ საგანზე შემდეგ ყრილობას წარმოედგინება ცალკე მოხსენება ამ. ნ. ჟორდანიას მხრივ.

მეორე საკითხი. ამ ყრილობაზე გამოსარკვევ-გადასაწყვეტი, შემდეგია: მისაღები გვაქვს ქართველ თავად აზნაურობისაგან მამული, რაც სასიტარიო მოვლენაა მთელ რუსეთში (ტაში მარჯვენა ფრთაში) რუსეთის თავადაზნაურთა შორის ქართველმა თავადაზნაურობამ პირველი ადგილი დაიკავა. რა თქვა უნდა, თუ ღრმათ დაფაქვიდენთ ამ მოვლენას, დავინახავთ, რომ ეს მიეწერება ქართველი ერის სიძლიერეს, მის დემოკრატიის მნიშვნელობას და გვეკრნას. ქართველი ერი და დემოკრატია არის ისეთი ძლიერი ფაქტორი, რომლის წინაშე თავად-აზნაურობის ქედი უნდა მოეხაროს (ტაში). დღეს-დღეობით უკეთესართ პირობებს წყალობით ქართველ ერს, როგორც ასეთს არა აქვს საკუთრება, აქვს მარტო წოდებას, შემდეგი მას ქონება უეჭველად ექნება და ის მამული, დღეს რომ გადმოდის ქართველ თავად-აზნაურებისაგან, იქნება პირველი ფონდი ქართულ ეროვნულ ქონებისა.

გამოქვეყნებული დეკლარაციის ძალით ჩვენ ველით, რომ დაუფუძნებელივ შემოდებულ იქმნა ერობა, მოხდება სასამართლოს სრული რეორგანიზაცია მისი ნაციონალიზაციის სახით, შემოიღება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ყველით აგრეთვე ნაციონალიზაციას.

მაგრამ რომ ყველა აქ ხსენებული საკითხებს რეგიონალთ გაუძღვეს ქართველი ერი, საჭიროა ეროვნულმა ყრილობამ პირჩიოს ორგანო, რომელიც დაიბერს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ადგილს და ერთის მხრივ გაუძღვება, უპატრონებს შიდაბულ ქონებას, ხოლო მეორეს მხრივ ფეხზედაა მოეყრობა ეროვნულ იმას, რასაც წარმოშობს დრო და გარემოება.

ეს ყრილობა ერთი არ იქნება. ამ ყრილობას უნდა მოჰყვეს საქართველოს დამფუძნებელი კრება (ტაში).

საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს სახელით გაგზავნილი იყო ქ. პეტროგრადს მოხდარ დემოკრატიულ თათბირზე საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც თათბირს მიესალმა და რომელმაც გამოუცხადა მას ქართველ ერის გულის ნადები.

საბჭოს შექმნაში, ჩვენ ეროვნულ თვითგამორკვევის დაჩქარებაში დიდი როლი უძღვს ქართველ ჯარის სარდალს სტეფნე ალმეტელ ბეგილს! (ტაში).

ამ ჯარის საქმით დაცვა, რევოლიუციის დროს მოპოვებულ თავისუფლებათა, დაცვა ერთა შორის სოლიდარობისა და სხვა.

ჩვენ გვაქვს ურთიერთობა და მიმოსვლა სხვა მეზობელ ერებთან. ჩვენ გაგვაგზავნეთ წარმომადგენელი საბჭოსი აფხაზთა სიფხიზე (ყრილობაზე) დასასწრებელად და მისასალმებლად, აგრეთვე სამამხედროო საქართველოში. აფხაზეთის შესახებ ჩვენ ვიყავით და ვართ ერის თვითგამორკვევის პრინციპის მოზიარენი და ეროვნულ საკითხს ისე დავაკვეყვეტთ, როგორც ამას მოითხოვს მისი არსებითი ინტერესები. ასეთივე სიტყვები ეთქვა ჩვენს მომმე მამამადან ქართველებს. ჭირი და ვარაჭი მათ რომ გადიტანეს, აუტანელია და ნება მომეცეთ თქვენს მაგიერ და თქვენის სახელით მივესალმოთ: ეაშა აფხაზეთს, ეაშა აეპარას!

მოქალაქენო! ჩვენ უნდა შეეუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს. საჭიროა ამისთვის ვიქმნოთ მხედველობაში ჩვენი წარსული და აწინდელი საარსებო ინტერესები. იყო თქმული ხშირად, რომ ქართველი ერის ბედი რუსეთთან არის დაკავშირებული. ეს ნამდვილია, მაგრამ ქართველი ერის ბედ-იღბლის გამომჭედი არის მისი დემოკრატია (ტაში). ქართველ ერის სიწმინდით დაცვისთვის ბრძოლას, აქამდე სოციალურ ნიადაგზე რომ ვაწარმოებდით. დაემტოთ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა აწ განსვენებულმა ბებერმა სთქვა ვინ არის ერი? ვინ არის ნაციონ? ჩვენი ვართ ნაციონ, დემოკრატიაო და ჩვენც შევვიძლიან ვსთქვათ თამამად რომ დემოკრატია არის სასიკეთოდ ფემკვიდრე ერისა.

საქართველოს ეროვნულ ყრილობას ეცხადებ გახსნილად.

ეროვნის კითხვა.

ამიერ კავკასიის დრ. მმართველობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გამოიკვლევ დეკრეტი ერობის დაუფუძნებლივ შემოსაღებათო.

ცენტრის არც თვითმპყრობელურმა და არც რევოლიუციურმა გამგებლობამ ამიერ კავკასია ერობის ღირსი არ გახადა.

ერთომ ბევრი აღმოაჩნდა „დაბრკოლება“ ჩვენში ერობის შემოღებას, და განხორციელება რომ აფერხებდა.

ჯერ იყო და ჩვენი მხარე ერობისთვის მომწიფებულათ არ მიჩნდათ, თუმცა ერობამ 60 წლის წინათ დაიწყო მოქმედება რუსეთის ზოგიერთ ისეთი ნაწილებში, სადაც კავკასიის ერებზე კულტურულათ გაკილებით ჩამორჩენილი ხალხი. ბინადრობს.

მაგრამ მიზეზი სხვა იყო და ახსნას ჩვენ არ შეუდგებით;

ბოლო ხანს რევოლუციურ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერობო პროკეტი შეიმუშავა და გამოაქვეყნა. ეს პროეტიც ძველ ტენდენციებით გაჟღენთილ მოხელესავით მოითბოვდა ერობის დაწესებამდე კავკასიის გადამიჯნას.

როგორც ეს ბ-ნ დ. ნაზაროვს ჩვენს გაზეთში აღნიშნული ჰქონდა რომ სომხების ბრიკები იყო; ისინი ამიერ კავკასიაში ეროვნულ ტერიტორიის მოპოვებას ლამობდენ.

თავის დროზე ჩვენც აღვნიშნეთ, რომ ამიერ კავკასიის ტერიტორიული გადამიჯნა საქართველოს საზიანოდ იყო მომართული და მის ტერიტორიულ მთლიანობას ეწყვრებოდა.

სამინისტროს პროექტი და სომხები საჭიროთ სცნობენ, რომ საგუბერნიო და სამაზრო ერობას ერთნაირი უფლებები ჰქონდეს. ბ ნმა დ. ნაზაროვმა ამ მოსაზრებასაც გასცა პასუხი.

ჩვენ დაუპატეტდით, რომ საგუბერნიო და სამაზრო ერობის ერთნაირ უფლებით აღჭურვა ყოველად შეუძლებელია და იგი უპირველეს ყოვლისა მშრომელ ხალხისთვის არის საზარალო, რადგან სამაზრო ერობის საგუბერნიო ერობასთან უფლებრივი გათანასწორებაზე ზედმეტ ხარჯებს მოიოულმის, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ხალხს.

ჩვენ კი გვინდა ისეთი ერობა, რომელიც ხალხს მოუტანს სარგებლობას და გაუადვილებს ცხოვრების სხვა და სხვა სიძნელეს.

დღეს ერობის განხორციელება ადგილობრივ მთავრობის ხელთ არის.

მაშასადამე სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა ერობის განსახორციელებლად.

ამჟამად ერობა ამიერ კავკასიის ყოფა ცხოვრებისთვის უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს.

ჯარს გვდგია სიმშილი ჯარის დემობილიზაცია, და ომიანობის გამო გამოწვეული სხვა და სხვა სენი. ხალხს დიდ უბედურობას უქადის აი, ყველა ამ მწველ კითხვათ მხოლოთ საერობო დაწესებულებანი გასცემენ შესაფერ პასუხს და ამოაწესრიგებენ არეულ დარეულ ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებას.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ ერობა დაუფანგველათ შემოღებულ იქმნას მთელ ამიერ კავკასიაში და მისი ტიპის შემუშავება მოხდეს ადგილობრივ ეკონომიურ პირობების და მეცხოვრებთა უმრავლესობის სურვილის თანახმად.

ამიერ კავკასიის დრ. რესპუბლიკური მთავრობა ვალდებულია დაიჩქაროს საერობო მოქმედება, რადგან ჩვენს ქვეყანაში საერობო დაწესებულებების გახსნა სხვათა შორის უკეთესი მებრძოლი იქნება ანარქიულ და უწესრიგო მოვლენათა წინააღმდეგ.

ი. დ-ძე.

ბოლშევიკების დიქტატურა.

გენერალ დუბონინის მოკვლა.

ბრაბორშრიკი კრილენკო მოწოდებით მიმართავს რევოლუციურ ლაშქარსა და ფლოტს.

ამხანაგებო! დღეს (რიცხვი არ არის ნაჩვენები) შეველ მოგიდევ ბრ. ვწინამძღვრობ რევოლუციურ ლაშქარს. ბანაკი უბრძოლველად დაგვნებდა. მაგრამ არ შემიძლია მომხდარ სამწუხარო ამბავზე ხმა არ ამოვიღო. უმაღლესი მთავარსარდალი დუბონინი მსხვერპლი გახდა თვითგასამართლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდით გადარჩენას, იგი სადგურ მოგილევზე დაინახეს და მოჰკლეს. ბანაკის დამხობის წინა დღეს გენერალი კორნილოვი გაიქცა. მისი გაქცეა ეკსცესის მიზანი იყო.

ამხანაგებო! რევოლუციის დროშაზე ლაქებს ვერ მოვითმენთ. ბრისნაგე გასამართლება ასეთ ფაქტებს. იყავით ღირსნი თავისუფლებისა; ჩირქს ნუ მოსცხებთ მას; ჩირქს ნუ მოსცხებს ვრის მთავრთას. ამხანაგებო! ბანაკის დამხობით ახალი ძალა ემატება საზავო ბრძოლას.

გაუმარჯოს მეუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს. უმაღლესი მთავარსარდალი **კრილენკო.**

კორნილოვის გაქცეა.

პეტროგრადი. ნოემბ. 21. დაფე ბიბოვიდან გაიქცა გენ. კორნილოვი. მას თან გაჰყავ 400 ტყვენულთა ოფიცეს ჯარის კაცი. ცნობებია, რომ კორნილოვი, მაბალ ოფიცერ[illegible]

ბოლშევიკთა კონტროლის დაწესება.

პეტროგრადი. ნოემბ. 21. ზრაბოის სახალხო კომისარიატ ბანკიდან ბანკის ბუღალტერს დაუფუძნებლივ „გაგზავნილ“ დელეგატები მუშათა კონტროლის საბჭოში.

ბოლშევიკი სტუდენტები.

პეტროგრადი. ნოემბ. 18. ბოლშევიკმა სტუდენტებმა დაადგინეს, მოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებში გაფიცული მოსამსახურეთა მაგიერად ისინი დანიშნონ.

მინისტრების გაგზავნა კრონშტადტში.

პეტროგრადი. ნოემბ. 19. სახელმწიფო სრულიად ოფიციალური კომიტეტი აცხადებს, რომ თუმცა ალიანიარი მნიშვნელობის არ აძლევს ყოფილ მინისტრების განცხადებას, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა, მაგრამ უწევს ანგარიშს პეტროგრადის მუშების და ჯარის სამართლიან მოთხოვნილებას და უთანხმობის თავიდან ასაცილებლად, კომიტეტმა დადგინა ყველა ის მინისტრები, რომელთაც ხელი მოაწერეს ცნობილ მოწოდებას, სიამეთო ყარაულთან კრონშტადტში გაგზავნოს, სადაც დეპუტატთა საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. კრონშტადტში გადაყვანილნი არიან: ბროკოპოვიჩი, ნაკერინი, ვეგოზდეკი, ლეგერეფსკი, მასლოვი, ბერნადსკი, ნეროტოვი, გოლუბკოვი, კრანოვი და სხ.

ქალაქის ახალი არჩევნები.

პეტროგრადი. ნოემბ. 19. მოკლე ხანში მოხდება ცენტრალ ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები. მონაწილეობას მიიღებენ ყველა 18 წლიანები.

ბოლშევიკურ მთავრობის კონსტრუქცია

პეტროგრადი. ნოემბ. 19. სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კოლეგიებში მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებს თავისი წარმომადგენლები შეპყავთ. მიწადმოქმედების კოლეგიაში სულ ბოლშევიკები შედიან. პრეზიდიუმში ერთხმად მიიღო დებულება საბჭოს პასუხის-მგებლობის შესახებ ცენტრალ ალმასრულებელ კომიტეტის წინაშე საკანონმდებლო აქტები და დიდი სახელმწიფო-საზოგადოებრივ მნიშვნელობის განკარგულებანი დასამტკიცებლად წინასწარ ცენტრალ ალმასრულებელ კომიტეტს უნდა გადაეცეს. კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის საშუალებანი მხოლოდ ცენტრალ კომიტეტის წინაშე პირდაპირი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა მანდატს. ყოველმა კომისარმა ცვირაში ერთხელ თავის მოკმედების ანგარიში უნდა ჩააბაროს ცენტრალ კომიტეტს. განმარტება ცენტრალ კომისარის შეკითხვაზე დაუყონებლივ უნდა მისცენ. შეკითხვის ხელს უნდა აწერდეს ცენტრალ კომიტეტის არა ნაკლებ 15 წევრის.

კომისრების საბჭო და დამფუძნებელი კრება.

სახალხო კომისრების საბჭოს შეუმუშავებია დამფუძნებელ კრების პირველ სხდომის წესი. დამფუძნებელ კრებას გახსნის ლენინი. იგი შეიტანს მათ მიერ გამოქვეყნებულ ყველა დეკრეტებს ამასთან ერთად ანგარიშებს წარადგენენ დროებით მთავრობის ამ ეპოქად განთავისუფლებული მინისტრები.

ფული ზარისაკეთა ცოლ-შვილისათვის.

სახელმწიფო ბანკის მოსკოვის განყოფილებამ სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა 3 მილიონი მანეთი მოსთხოვა ჯარის კაცთა ცოლებისთვის დასარიგებლად.

მსოფლიო ომი.

ა. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

სტოკჰოლმი. გიორგობ. 15. ენნიმ დიკლინშში მტრის ალმა იერიშმა უნაყოფოდ ჩაუარა იერიშები მოიტანეს ბურლონის ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არა მომხდარა რა.

დასავლეთის ფრონტი

ინგლისის ფრონტზე

სტოკჰოლმი. გიორგ. 21. რეიტერის საგანგებოს კორესპონდენტი გიორგობისთვის 21-ს თარიღით იუწყება: გუშინ

გერმანელებმა 15 იერიში მოიტანეს სოფელ ლია-რაკეთრად მტერმა შესძლო სოფელში შემოსვა. კონტრ-იერიშით მოვიგერეთ. ღიღის 5 საათზე ჩვენ ბრძოლის ხაზი გონელიმდე წავიეთ. შეადღის შენდეგ უკან დავიხიეთ მონიერში ასპარეზის გასაგრძელებლად. ტყვედ ვიგდეთ 500 გერმანელი ჯარისკაცი. წამოვიღეთ 15 ტყვიისმფრქვეველი. ღამის 1 საათზე პამასღელში ჩვენ იერიშები გავაძლიერეთ, შევიქარეთ მტრის ხაზში. მტერს ჩენმა ჯარმა გეზენკური დაალეგინა. ავიღეთ სოფელი ვონნელი ხელთეგიდეთ 300. ტყვე და 40 ტყვიისმფრქვეველი. მანიერთან მტერმა დიდი ზარალი ნახა ჩვენებმა ცხრა კილომეტრით წაიწია წინ.

იტალეთის ფრონტი

რომი. გიორგობისთვის 15. გერმანელები ცდილობენ ტრეგიზოს ღელეში გასვლას. აქედან მათ სურთ ვენეციის განუშბალონ საფრხეზე, მაგრამ ამაოდ შვეიცა და ბრენტოოს უბნების შუა და ასიაგოს ზეგანზე გერმანელებმა სიმაგრეები დაანგრიეს. სცდილობენ მდინარესაკენ დაეშვნენ. ასიაგოს ზეგანზე გენერალ კონრად ფონ-გიტ ცენტორიეს იერიშები მოაქვს იტალეთელთა ასპარეზებზე. მონტე-მელლემ ტასთან იერიშში 55 დე ბატალიონი მონაწილეობდა.

დამფუძნ. პრეგის არჩევნები.

ეიარეურის რაიონი. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებისა, უწესრიგობისა და უკანონობისა, არჩევნებში მაინც გასაკვირველი შეგნება გამოიჩინა თუ მთლად არა, ნაწილმა მაინც ჩვენი ბელეზობისამ, რომლებმაც იკვნეს მტერ-მოყვარენი არ შეუშინდენ მუქარას შესაფერისად ჩაატარეს არჩევნები და გამოიჩინეს თავისი მოქალაქეობა.

	№ 1	3	5	6	8	15
ქ. ეიაფურა	519	78	54	79	143	2
წერაქვალის საზოგად.	3013	40	32	54	129	—
ხრეთის საზ.	2254	—	16	16	225	—
პერეკეისის	1610	51	9	118	40	—
კაცხის	1969	47	337	14	216	—
მერეკეის	2209	2	—	20	88	—
ოგონის	1275	15	—	25	209	—
ჩხიროუ-ლის	2619	—	—	1	24	—
სულ	15468	233	448	323	1074	2

ჩიჩერის რაიონში ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 800 ხმაზე მეტი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ **დიდი ადამო-კაბარე.** დღეს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში ეროვნულ-დემოკრატიულ ქალთა წრე გამართავს დიდ ადამო-კაბარეს. ძალები ამ ადამოსთვის მოწვეულნი არიან ქ. თბილისიდან (იხ. განცხადება გაზეთის პირველ გვერდზე)

◆ **მოწაფეებას მანიფესტაცია.** ეროვნული ყრილობის და საქართველოს ავტონომიის აღიარების გამო ნოემბრის 28 ქუთაისის ეროვნულ დემოკრატ, ს. ფედერალისტ და ს. რევოლუციონერ ყველა სასწავლებლის მოწაფეები დროებითა და მუსიკით ქუჩებში გამოვიდენ, ჩამოიარეს ქუთაისის ქუჩები და დასასრულ თავი მოიყარეს ქართული გიმნაზიის ეზოში, სადაც წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა. ასეთივე მანიფესტაცია გაზმეორდა გუშინ. 24 ნოემბერსაც. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ბიუროსთან და გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ს რედაქციასთან საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა ნიკო ლორთქიფანიძემ.

◆ **ჯარის კაცთა შორის.** 23 ნოემბერს ქუთაისში გარნიზონის ჯარისკაცთა დელეგატების კრება ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ასარჩევად, რამდენიმე წერილი კითხვების გარჩევის შემდეგ შეუდგენ არჩევნებს. არჩევნები ფრაქციათა შორის შეთანხმებით მოხდა. ს. რევოლუციონერების კანდიდატებიდან აღმასრულებელ კომიტეტში გაიყვანეს 14 კაცი, ს. დემოკრატების (მენშევიკები) 9 და ბოლშევიკი 6 კაცი. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ს.-რევოლიუციონერი პოტორდანი, მის პირველ ამხანაგათ ს. დემოკრატი (მენშევიკი) და მეორე ამხანაგათ ბოლშევიკი უფროს მდივანთ ს-დემოკრ. მენშევიკი და მდივნის ამხანაგათ კი ს. რევოლუციონერი.

◆ **თეატრი.** დღეს 25 ნოემბერს, ქალაქის თეატრში მესამეჯერ წარმოდგენილი იქმნება „შალვა დადიანის ახალი პიესა „გუშინდელნი“.

◆ **უფლება პროგიზორების თანაშეწყობისა.** უმთავრესი სამედიცინო ინსპექციამ ცირკულიარი გამოსცა, რომელის ძალითაც პროგიზორების თანაშეწყობას უფლება ეძლევათ გაბსნან აფთიაქები და მართველობა გაუწიონ აფთიაქებს.

◆ **წისქვილები.** ქუთაისში ქალაქის სასურსათო წისქვილები, პუშკინის ქუჩაზე უკვე ამუშავდა.

◆ **პურის ხორბლის დაფქვა.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გუშინ ქალაქის სასურსათო კომიტეტს საკუთარ წისქვილებში დასაფქვავად გადასცა 5 ვაგონი პურის ხორბალი.

◆ **ქურდობა.** ღამით, ნოემბრის 23-ს თეთრ ხიდთან ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ნ. კილაძის ქუთის სახელოსნო და კ. ბალანჩიავაძის საათის სახელოსნო, რომლებიც ერთად იყვენ მოთავსებული. მილიციელებმა დროზე შეიტყვეს და ბოროტ-ყ

არახველები გაიქეცეს. მიუხედავად ამისა მათ 400 მანეთის ღირებული საქონელი მაინც გაეტანათ.

◆ **დანიშნვა.** ინჟინერი სოკოლოვსკი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილების ინჟინრათ.

◆ **გადაყვანა.** ქუთაისის მაზრის სამხედრო ბეგარის მოსახდელი საკრებულოს მდივანი შენგელია გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე ზორაპნის მაზრაში.

◆ **დანიშვნა.** დ. ონის ხაზინის უფროსი ბუხალტერი ელიავა დაინიშნა იმავე ხაზინის ხაზინადრათ.

◆ **ტყვეულობა.** ქუთაისის საგუბერნო სასურსათო კომიტეტმა როსტოვიდან ცნობა მიიღო, რომ იქედან უკვე გამოუგზავნიათ 62 ფუთი ფეხსაცმელების ტყავი „ხროში“—სულ ღირებული 46,740 მანეთად.

◆ **ვაგონების სიმცირე.** ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისიდან ტუბეულისაკენ მგზავრობა მატარებლით მეტად სჭირს. ორთქლმავალს მეტად ცოტა ვაგონებს ამაძენ. მგზავრი კი აუარებელი აწყდება. თითქმის ვაგონების სახურავებიც ხალხით სავსეა. ეარი იქნება, რომ რკინის გზის მმართველობა რამდენიმე ვაგონს მოუმატებდეს ხსენებულ გზაზე.

◆ **სურსათი ქუთაისის ბაზარზე.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე ხოფლებიდან შემოტანილი სიმინდის ფქვილი ფასობდა 14 დან 16 მანეთამდის, ღობი 30 მანეთად, ბაშმა დარჩეული 60 მანეთათ შუშა კი 45 დან 65 მანეთამდის იმერული ურემი.

◆ **ფართლეულობა.** გუშინ ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა სასურსათო სამინისტროდან მიიღო 66 ცალი ფართლეულობა რაც განაწილებულ იქმნება მცხოვრებთა შორის.

◆ **პურის სიმცირე.** ქუთაისში გამამცხვარი პური არ ეკმარა. ამისთვის ზოგიერთ მეფურნეებმა მეჰდის გამოცხობა დაიწყეს. მეჰდაც იმ ფასებში ჰყიდიან, როგორც პურს.

◆ **ქუთაისის სახალხო** მილიციის სისხლის საგამომძიებლო სამართველო ამ დღეებში გადავა ქალაქის თვითმართველობის სადგომში.

◆ **საჯარო ვაკრობა.** 4 დეკემბრიადან ქუთაისში დაიწყება იმ მამულების საჯაროთ გაყიდვა, რომელიც დაკონფისკებულია საადგილ-მამულო ბანკში და პატრონთ დღემდის საპროცენტო გადასახადი არ შეუტანიათ.

◆ **ილია ყანჩაველმა** იპოვა ქალაქის სამკითხველოსაგან მიცემული წიგნაკი და ორი კვიტანცია **შალვა ქორძისა** რომელიც ინახება გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ს რედაქციაში.

ქუთათური სასწავლებლების გაპროვნება.

ქუთათური საშვალო სასწავლებლის გაერთიანება ჩქარი და სწორი ნაბიჯით მიდის. პირველად თუ სკოლების ნაციონალიზაციის მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებსაც ეშინოდათ, დღეს ადარც ერთს ეშინია და ადარც მეორეს. სამშობლო ენაზე საგნების სწავლებამ თავის ცხოველმყოფელი სხივები ყველა აქაურ სასწავლებლებს სტყორცნა და მათში ეროვნული სული დაატრიალა. მოსწავლეების სიხარული სულ უკიდურეს მიძინებულ მასწავლებლებსაც კი ანარბის და ენერგიას უარეყცებს. განსაკუთრებით სიყვარულს სწავლისადმი მოსწავლეები ჩვენ სამშობლო ქართულ ენაში იჩენენ. დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ მოსწავლეების ენული სილრმეში ჩაიხედოს და მათი სიხარული, სკოლეკი გაერთვნების გამო შესაფერისად გამოიყენოს და სასურველ გზაზე დაიყენოს. უწინდელი შრომა გადმოაცემა ცოდნისა, და დამფუძნებელი ქართველი ერის ვალდებულობის უარისყოფაზე, გაქრა, აღმოფხვრა სკოლის ცხოვრებიდან და ადგილი სალსა და გონიერიელ ბედგაგიერ ცოდნის გადაცემას დაუთმო, სკოლების გაერთვნებამ ქართული ენის მასწავლებლებსაც მოაფხანინა თავი და მოხუცი და ახალ გზაზდა მასწავლებელი დღეს იმასა სცდილობს ამ საგანში თავის სიკოფლე და უმეცრობა გაისწოროს და შეიესოს. გაკვირვებით და გოცებენი, თუ რა სიხალისით და ბეჯითობით ესწრებიან ეს ჩვენი ახალი ეროვნული განმანათლებლები ქართულ ენის ლექციებს, რომელიც სხვა სპეციალისტებისაგან დრო გამოშვებით იმართება ქ. ქუთაისში, რადგანაც ლექციებზე სიტყვა ჩაშოვარდა ბ. ბ. ლექტორებს ერთი რამ უნდა შეენიშნო. ეს შენიშვნა ისა გახლავთ, რომ უსათუოდ საჭიროა მსმენელებმა ლექციების გათავების შემდეგ მოსულ ანგარიში წარუდგინონ გადმოცემული ცოდნისა ბ. ლექტორებს ეს ზომა დიდ გავლენას იქონიებს ცოდნის შეძენის მხრივ და შრომა და ჯაფა ორივეს მხრივ ეუფლება უბრალოთ არ ჩაიელის აქაური სკოლების ნაციონალიზაციის საქმე სასკოლო კომიტეტის ხელშია. სასკოლო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ამ ფრიად საინტერესო და საჭირო საქმეს ამ ბოლო დროს. სამწუხაროდ, ეხლეკ მზრუნველობა მან სწავლის დაწყებისთანავე ვერ გამოიჩინა. აი საქმე რაშია. ზოგიერთმა ვაკბატონებმა მშობლებ და შეუგანებელ ქართველ მშობლებს, სკოლების გაერთვნება სულ სხვა ნაირად აუხსნეს, ამ ახსნამ თავის ნაყოფი გამოიღო, და ზოგიერთმა მშობლებმა თავისი ნეოფები რუსულ გიმნაზიებში დასტოვეს.

კარგი იქნება ამ გარემოებას სასკოლო კომიტეტი ყურადღებას მიეკვლოდეს და ასეთ მშობლებს უხერხული მდგომარეობიდგან გამოიყვანდეს.

ბ. ბუაჩიძე

საიდუმლო ხელშეკრულებანი

ხელშეკრულება ოსმალეთის დანაწილების შესახებ.

1917 წლის ნოემბრის 21. ოსმალეთის დანაწილებისა და არაბეთის წესწყობილების ფორმის შესახებ 1916 წლის ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის პეტროგრადში და ინგლისში მოლაპარაკება სწარმოებედა, რის შედეგიც ასეთია: რუსეთი შეიერთებს: არზრუმს, ტრაპეზონს, ვანს და ბითლისის ოლქებს და აგრეთვე სამხრეთ ქუთაისტანის ნაწილს სერტინ-ომარ ამალია-სპარსეთის საზღვრის ხაზამდე. დაფრენილთან შემდეგში უნდა აღენიშნოთ, თუ სადამდე უნდა გავრცელდეს შავი ზღვის პირზე რუსეთის მფლობელობა.

საფრანგეთს შეუერთდება: სირიის ზღვის პირი ნაწილი, ადანის ვილაიეთი და ის ნაწილი, რომელიც მოკავეული სამხრეთით აინტაბ-მარდინის და ჩრდილოეთით ალადაგა ალესარია-ყოდალა-ილდიზ დღ-ზარა-ოგინ-ხარპუთის ხაზებს შუა.

ინგლისს ეძლევა: მესოპოტამიის სამხრეთით ნაწილი ბაღდადით და აგრეთვე მოთიბოს ნავთსადგურებს სირიაში: კიიფპას და აკას.

ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოს შუა უნდა შესდგეს ან არაბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ან არაბეთის ოლქების კონფედერაცია. რომელიც ინგლისისა და საფრანეეთის გავლენის ქვეშ უნდა იყოს.

ალეკსანდრეტტა თავისუფალ ნავთსადგურად უნდა გამოცხადდეს.

მოკავშირე სახელმწიფოებს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად პალესტინა წმიდა ადგილებითურთ ოსმალეთს უნდა გამოეყოს. პალესტინის რეჟიმი რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებით უნდა შეიქმნეს.

ამავე მოკავშირე სახელმწიფოთა აღიარებს და სცნობს ომამდე არსებული კონცესიები და უუპირატესობანი დაპყრობილ ქვეყნებში.

მოკავშირენი თანახმანი არიან თავისი თავზე მიიღონ ოსმალეთის ვალის ნაწილი, რომელიც დაბყრობილ ოლქებს შეეხება.

ნამდვილთან სწორეა.

(უწერია ეს ხელმწიფოთა წარმომადგენელებს).

ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთისა მოკავშირეებისაგან.

საიდუმლო დეკემბრ რუსეთის წარმომადგენელებს პარიზში და ლონდონში ენ. ქენინსთვის 17—30 1917 წ. № 4303.

მოკავშირე სახელმწიფოთა აქაურ ელჩებთან უმეტესად ამერიკის ელჩებთან გულახდილ ლაპარაკის შემდეგ ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ პარიზში ან ლონდონში მომადარ უკანასკნელ კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება მოკავშირე სახელმწიფოებს შორის თუ ვინ რა გვარი მატერიალური დამმარება გაგვიწიონ, რომ შეგესძლოთ ომის განგრძობა—მაგალითად, როგორც სჩანს, ამერიკელმა ხელი აიღეს ჩვენ ზი ტრანსპორტის მოწესრიგების საქმე. ამ საკითხს ჩვენთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, დღევანდელ პირობებში ტეხნიკური და მატერიალური საკითხები ჩვენში ფრიად საშიშ სახეს ღებულობენ, რადგან არ ვიცით ფაქტიურად მიგიყვანონ ომს ბოლომდე თუ ვერა. მე მზათ ვარ უფრო წინ წავიდე—წარმოადგება მოსაცემ ჩვენ მოკავშირეებს უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღონ, ვიდრე ღღემდე. ჩვენი მონაწილეობის და ტრანსპორტის საქმის მოწყობაში, რომ იგინი მართლაც მზათ იყვენ იკისრონ ეს საქმე. გთხოვთ შეეცადოთ და ფრთხილად გიგოთ ამ მხრით საქმის მდგომარეობა და შემატყობინოთ თქვენი აზრი.

ტერეშჩენკო.

მოსკოვი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სამოქალაქო ომში მოკლულთა დასაფლავება.

მოსკოვის სამოქალაქო ომმა დიდი მსხვერპლი შეიწირა, ასე რომ ძნელია გამოანგარიშება, თუ რამდენი მოკლული, დაჭრილი, დაკრეული, რადგან მიცვლელებულებს ნახულობდენ არა მარტო ქუჩებზე, არამედ მეინარაში და სარდაფებში, სადაც მოქალაქეები თავს იფარავდენ და ყუთმარგით დანგრეული შენობები კი ცოცხლად მარხავდენ. დაზოლილებთა შორის ყველაზე მეტია ნდომა ღღეთეთ და წითელგვარდიელები ე. ი. ბოლშევიკებმა ამ ომს უფრო მეტი მსხვერპლი შესწირეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ. გუშინ მოხდა დასაფლავება წითელ-გვარდიელებისა (მუშები) წითელ მოედანზე, კრემლის გვერდზე.

გათხარეს ორი საფლავი, რომლებსაც თითოს ჰქონდა სიგრძე 30 საჟენი, სიგანე სამი საჟენი და სიმაღლეც სამი საჟენი. ამ საძმო საფლავში დაასაფლავეს მხოლოდ წითელ გვარდიელები. ბოლშევიკები დასაფლავებას დიდი მოწოდებით შეხვდენ. ბათენდა თუ არა 10 ნოემბერი, ქუჩებში ყოველ გვარი მოძრაობა შეწყდა, ტრამვაის მოძრაობა უკვე წინა დღეს შეჩერდა, დაკეტილი იყო ყოველგვარი საჯაროები და დაწესებულებები, ერთი სიტყვით, ქალაქი სამგლოვიაროდ გამოიყურებოდა, ქუჩებზე დაინახავდი მხოლოდ საძმო საფლავისაკენ მიმავალ მუშებს დროშებით და თოფებით, აგრეთვე სალდათებსაც. ჰოოკეისიში მოქალაქეებს და ინტელიგენტსას არ მიუღია მონაწილეობა, რადგან, ერთი მხრით, გუდიკოვი შეხვდენ ბოლშევიკების მოწოდებას და, მეორე ქალაქში ხმები იყო გავრცელებული, ვითომც რაღაც გამოსცალას მოელოდენ. მოკლულთ დილიდანვე ჩიდავდენ ავტომობილებით; მათმა რიცხვმა ორ ათასამდი მიაღწია; ყველა კუბოში იყო ჩასვენებული; კუბოებს საფლავში წყობრად ერთი მეორეზე აწყობდენ; რამდენს რიგსაც დაწყობდენ, იმდენს მიწით გადაასწორებდენ და ასე მიმდინარეობდა მუშობა მეორე დღემდის. დარჩენილი მიცვლებულები სხვაგან დაასაფლავეს (ბოლშევიკები). ბოლშევიკებმა დემონსტრაცია მოახდინეს დროშებით და ჩვეულებრივ ლოზუნგებით.

დღეს 11 ნოემბერს უნდა ეზეიმოთ ოთ მოკლულ სტუდენტების დასაფლავება, რომლის რიცხვი აღწევს 180-ს. მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან ბოლშევიკების შუშამბა ვარი ბანაკებადეს საძმო საფლავის [illegible] ბერს, ნოემბერის [illegible] სტუდენტებს, რომლებსაც ბატონობა არ აღმოუჩენენ ან ვერ იცნეს დამახასიათებული სხეული. ბევრი დახოცილი იყვენ ერები და კადეტები, და აგრეთვე აფიცრები, რომლის დასაფლავება ყოველ დღე ხდება საძმო სასაფლავოზე. სტუდენტების დასაფლავებისთვის მოქალაქენი და ახალგაზრდობა დიდი ამბით ემზადებიან ამაზე შემდეგ.

აკაკი კოსტავა.

მოსკოვი 11 ნოემბერი.

დაფარული საუნჯე.

ჩვენი დაუდევრობით ბევრი სიმდიდრე, ისეთი საჭირო და სასარგებლო, რომელსაც მომავალში ვერც მეცნიერება და ვერც ხელოვნება შექმნის; იკარგებოდა და ოხრდება და ტიალდება საქართველოს ეს სიმდიდრე ოქროს დროიდგან შემქმნელი, რომელიც მომავლისათვის მეცნიერების საუნჯედ იქნებოდა, ხშირად გათელილა ჩვენი უგულობით და დაუდევრობით, ხოლო მცირე რამ შენახული ზოგი განგების და ზოგი საქართველოსათვის თავდადებულ ან გულ-შემატკივარ შვილების წყალობით; მარა, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი შვილები ცოტა ყავდა საქართველოს და ამ მცირეოდენის ღალდა და ვედრებას სამშობლოს აღორძინებისათვის სულ ცოტაოდენი თანაუგრძნობდა. ბევრი ჩვენგანი ბოლოს და ბოლოს ვნანობთ, რად დავკარგეთ, დროა, რისთვის გაუშვეთ უყურადღებოდ მომავლისათვის ფრიად შესანიშნავი შემთხვევები, გარემოებები და სხვა ისეთი რამ, რომელსაც წარსული აღარ დაუბრუნებს მომავალს და სამუდამოდ დაიმალა დაიფარა და გაეხვია სუკუნეობში.

ამას წინათ სემეზარიის მასწავლებელმა, აწ უკვე განსვენებულმა თ. დ. ოორდანიამ, დაგვარიგა სემეზარიის მოწაფეები, ოუ რანაირი ყურადღება უნდა მოგვექცია სოფლის ხალხში არსებულ სიმღერისაკენ: „თქვენ ხალხის შვილები ხართ, ხალხში ცხოვრობთ, აწიც ბევრი თქვენგანი ხალხში იცხოვრებს ძველებად და ან მასწავლებლებად, ხალხი თქვენ ნდობათ მოგეპყრობათ და ისარგებლეთ თქვენი მდგომარეობით, მიაქციეთ ყურადღება ძველ ნაწერებს, რაც უნდა ხასიათის, შინაარსის და ფორმის იქნეს; თქვენ რომ მოგეჩვენებათ უმნიშვნელოდ, იგი მნიშვნელოვანი იქნება მეცნიერებისა და მომავლისათვის, ყოველივეს, წარსულში შექმნილს, მნიშვნელობა აქვს მომავალში. ასეთივე სიტყვით და თხოვნით მოგვმართა ამ 21 წლის წინად მღ. მ. მელიტონ კელენჯერიძემ, მარა ასეთ ფრიად მნიშვნელოვან ღალდს უმცირესობა შეხვდა თანაგრძნობით. რუსეთის განათლებული პედაგოგი კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკი თავის წერილების კრებულში გამოცემულებით გვიმტკიცებს, რომ 70 წ. რომ ვასწავლოთ, მხოლოდ იმას შეეასწავლით, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ ხალხში არსებული მეცნიერებით*).

1891—8 წლებში ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს საეკონომო განყოფილებამ დაბეჭდილი წერილებით მოგვმართა სამღვდელოებას, რომ წერილობითივე პასუხი მიგვეგო შემდეგ კითხვებზე: რა საშვალებით როგორ ავათმყოფობს არჩენენ სოფელში სოფლიური ეკონომით, აქვთ რაიმე წერილობითი სახელმძღვანელობები და სხვ. მე მგონია, ამ ფრიად საყურადღებო კითხვაზე არავის ჩვენგანს ყური არ გაუპარტყუნებია, რა თქმა უნდა დაუდევრობისა და თავის მოვალეობის უცოდინარობის გამო.

როგორც ამას წინეთ ვსწერდი, ჩვენ, სოფლის მეცდღეები, სრულიად ვერ ვსარგებლობთ ხალხთან სიახლოვით. ახალი

*) იხილეთ Собраніе педагогическихъ сочиненія Ушинскаго изданіе 1875 г.

მოზარდი სახოგადოება: სტუდენტთა, მასწავლებლები, ზოგიერთნი სოფლად ყოფნის დროს „რაშია რაშაის“ ძახილში და ბლეიბში ატარებენ დროს და ამ 30 წელ. განმავლობაში ეკითხელი არ დაგვინახავს, რომ ერთი მათგანი გაბედულ იყვეს სოფლად სამეცნიერო მიზნით; ასეთი ჩვენი ლიტერატურა ცუდ სახელს გვიმზადებს მომავლის წინაშე. ამ წესით ორგვარი უსიამოვნობა უნდა შეეხებოდეთო ჩვენს მომავალ თაობას. ერთი, წინაპართა ცუდად ხსენება ხომ მეტის მეტი უსიამოვნებაა. მეორე, სამუდამოდ ხელიდან გამოცლა ისეთი რამეისა, ოდესაც საჭიროებანი მნიშვნელობა აქვს მომავალი ერის წინ მსგელობისთვის ეროვნულად, მეცნიერულად, ზნეობრივად და სხვ. ხომ ტყუილად არაა ნათქვამი, „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“ ო, რას იტყვის უკანა კაცი, თუ წინამ ვლაბ ხიდი გაუდგა და ან ან არ აცნობა, რომ ხიდი ცუდია და მით არ გააფრთხილა საფრთხის თავიდან აცილებისაგან?

სოფლის ცხრიბი გლეხის ოჯახში რომ შეხედეთ, გეგონებათ, რომ აქ საყურადღებო არაფერი არის გარდა უბრალო და უმნიშვნელო რამეოებისა, მარა თუ კარგა დაუკვირდებით, ეკდლის ყურეში შეხედავთ გაქცარტლულ ქისას, ანუ ძველ დახარატულებულ ოთხკუთხინან პატარა სკივრს, რომელიც თავის გარეგნული შეხედულობით გიჩვენებს, რომ იგი არის ბებიის ანუ კიდეე იქეთ ვინმეს ნაქონი. ასეთ ქისებში და სკივრებში გაშინჯვის დროს იპოვით ისეთ რამეს, რომ სანთლით რომ ეძებთ, ვერასოდეს ვერ შეხედებით. ერთხელ, ასეთი ქისის გაშინჯვის დროს, ჩვენ ვიპოვეთ თელავის სემინარიის რეკტორის გიორგ ნაცვლიშვილის ხელურად დაწერილი ყდით ქართული გრამატიკა, რომელიც გადავეცი თფილისის სემინარიის მასწავლებელს იპ. ვართაგავს ეთნოგრაფიულ საზოგადოებისთვის. მეორეთ ერთ ოჯახში გავშინჯეთ სკივრი, რომელშიც ვიპოვეთ ბევრი ძველი ნაწერები, ზოგი ლამაზად გათლილ ჯოხზე დახვეული და ზოგი ისე. იმ ნაწერებში შესანიშნავი იყვნენ იმერეთის მეფის განაჩენი სხვადასხვა დაწესებულებათა შესახებ, „მაზიერობა“.

ერთ წერილში იყო მოხსენებული გაფორდება, მეორეში კანონი სისხლის სამართლის დასასჯელთათვის, მესამეში იყო მეფის გადასახადების განაწილების შესახებ. ამ წერილში პირველად გაიგონე სიტყვა „საუთრ“ (მეორე რამ გადასახადი). ეხლა ჩვენში სოფლის უსწავლელმა კაცმა კი ინა, ზოგმა ნასწავლმაც არ ვიცით ეგ სიტყვა. ზოგი ნაწერები მე გადავეცი ბ. ი. ირ. აბულაძეს. მოდელიმა იყანე თებზაძემ დამარწმუნა, რომ მას აქვს გაითზ ნაცვლიშვილის ხელურად დაწერილი გრამატიკის მეორე ნაწილი. ამბობენ, ჩვენებურ ეპრაელებში და ზოგ ქრისტიანების ოჯახებშიაც იმყოფება სოლომონ ბრძენის კარამადინი, რომლის შინაარსიც ძლიერ საყურადღებოა თურმე.

გარდა ნაწერებისა, ამ მოკლე დროში სოფლის ხალხმა იპოვა მიწის გადაბრუნების დროს ბეგრი უძველესი და უძვირფასესი ოქროს და ვერცხლის ფულები და ნივთები, მარა, სამწუხაროდ, ამ ძვირფას ნივთებს კიტრის ფასად იგდებენ ხელში მოგაკერნი; მე ცოტა ვიშოვე ნუმიზმატიები ნიშნები, რომლებსაც სხვა ნივთებთან ერთად თავის დროზე გადავსცემ მას, ვისაც რიგი იქნება. ფულებისა არაბული, სპარსული, ლათინურად წარწერით, სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებით. სხვათა შორის მაქვს ფულები ოოროს. მელის, გველის, თევზის, თრითინის, სპილოს, კურდღლის და სხვადასხვა გამოსახულებით.

ჩვენი სოფლის ბახლობლად უძველეს ტყის მოპრის შემდეგ მიწის გადაბრუნების დროს ერთმა ქალმა იპოვა ძვირფასი ბაჯღლო ოქროს ბეჭედი და კოკლები, მან მე არ დამითმო და ესთხოვე შეენახა ერთ დრამდე.

მეორე სოფელში მიწაში იპოვეს ოქროს სამაჯურები საყურეები ვერცხლის მაგთულის ჩხირები, თმის დასამაგრებელი ჩხირებივით. სოფელ ბაღდათში ერთმა გლეხმა ბთმენი ვერცხლის ფული ზედ წარწერით: „მნეტა ᲪᲘᲒ-ᲢᲐᲢᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲘᲡᲞᲐᲜᲝᲜ“ და მეფის გამოსახულებით. ერთი ამ ფულთაგანი გადმომცა მე ბაღდადში მოგაკერმ ანთიმოზ სიოსძე ტყეშეღაშვილმა, დანარჩენი მნახველს ვაყვადა, სულ მცირე ფასად.

ჩვენი ეთნოგრაფიული საზოგადოება უნდა ეცადოს, რომ აღმოაჩინოს სურვილი სამეფოდელოებში, მასწავლებლებში და მოზარდებში ჩვენი სიძველეების მოპოვებისა და შემენისა, თორემ მარტო მზა მზა რეფულის ხელის მოკიდება არ ეგეყოფა.

ძველი წერილებიდან სჩანს, რომ იმერელი ქართველები ნამდვილ წმინდა ერნი ოლაჩარაკობდენ ამ უკანასკნელ დროამდი. მაგ., ერთ ოჯახს მეტ სახელად ჰქვია ვა ხაკა. მე ვანგებ გამოვიკვლევ, თუ ვინმემ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა და არც სწავლულა და არც უსწავლელმა ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა. აიხსნა, რომ ხსენებული ოჯახის პეპერა ბეჭშობაზე ყოფილა ძლიერ მარჯვე და მწყემსის ხანაში, ფამალვის ომობამის დროს, ბეზე მარდად ადიოდა და „ეკეკუს“ ძახილი ვერ შეელიდა ამხანაგებს მის მოსაძებნად, ამისათვის ამას დაათქვეს „ვეხაკა“ (ხის ყვითელი ბაყაყი). სჩანს, რომ ასი წლის წინად ჩვენში დიდმა კი არა, პატარამეშაც იცოდენ ამ სიტყვის მნიშვნელობა, და დღეს ბეგრმა მაღალ სასწავლებელში მოსწავლეებმაც არ იციან ამის მნიშვნელობა, დროა, მივაქციოთ ყურადღება ჩვენს დედა-ენას. ეხლა ჩვენ ამის შესახებ ხელს შეგვიწყობს სკოლის ნაციონალიზაცია და, თუ არ ვიზარმაცებთ, ისეა ფაკვდება ძველებური დედა-ენა და იმედი ჩვენს სამშობლოს მოელის ძველი წარსული ოქროს ხანი.

მღ. ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

სოფელი ᲮᲔᲗᲘ.

როგორც ყოველგან, აქაც ამოძრავდენ პოლიტიკური პარტიები დამფუძნებელ კრებისთვის თავიანთი წარმომადგენლების გასაყვანად. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი სოციალ- დემოკრატების ბელადები, რომელთა არა კორეტტელი მოქმედება ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მაგრამ ამასთანავე თქვენ შეამჩნევთ იმ გარემოებასაც, რომ ძველი სახელს სოციალ-დემოკრატიისას წაურთმეია თვისი ძალა და ერთ დროს არსებული სიმპატია ამ პარტიისა შენელებულა.

ყოველივე ზემოთქმულს მოწმობს ის სურათი, რომლის მოწმე ჩვენ ვიყავით სოფელ ხეთში კვირას, 12 ნოემბერს არჩევნების დროს. აქ იყვნენ წარმომადგენელები სამი პოლიტიკური მიმართულებისა, ს.-დ. ს.-ფ. და ეროვნულ-დემოკრატების. ჩემდა სასიხარულოდ, პირველი ზეზდვისთანავე, როს ვიხილე პარტიის წარმომადგენელად ინტელიგენტი პირები მასწავლებლები და მოწაფე-სტუდენტები, მეგონა, აქ იქნება შეგროვებული, დასაბუთებული მსჯელობა ინტელიგენტ პირთა შორის, მაგრამ, საუბედურად, იმედი გამიცრუდა. პირველი მომენტი კამათისა იყო. მშვიდი და ადამიანური, ეროვნულ დემოკრატსა (მ. ლეკიანიანა(და სოციალ-დემოკრატსა (მასწავლებელი ოროროთე კიტია) შორის, მაგრამ, როდესაც მასწავლებელმა კიტიამ სცნო მომენტი გაჭირვებისა, მიმართა ჩვეულებრივ ხრიკებს-დემაგოგიას, და შესძახა ხალხს, რომ ეროვნულ-დემოკრატები „საეფლისწულო“ სამონასტრო და საეკლესიო მიწებშიდაც ფულს გადაგახდევინებენო. აქ, როგორც ხედავთ, დაირღვა სიმართლე. ეს სიტყვები ჩაიწერა ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა და სახოვა ჰასწავლებელ კიტიას ხელი მოეწერა საზოგადოების წინაშე.

კიტიამ განაცხადა: მე ეს ვსთქვი მაგრამ ხელს არ მოვაწერო. * სწორედ ასეთი ხრიკებით და დემაგოგიის გზით გადიან ისეთი პირები ფოსს და ხალხში სიკრუეს ღალდებენ. ამას დაამოწმებს მასწავლებელ კიტიას მეერ შეურაცყოფილი სოციალ-ფედერალისტის ორი წარმომადგენელი. ასეთსავე საშუალებას მიმართა მეორე მასწავლებელმა, ვარლამ კობახიძემ, რომელმაც ისარგებლა ჩვენი პარტიის წარმომადგენლის იქ არ ყოფნის დროს და დაამახინჯა მისი სიტყვები. ლეგმაჩავამ სიტყვა ითხოვა სიმართლის აღსადგენად, მაგრამ თქმის უფლება კიტიას წყალობით არ მისცეს.

*) ამას დაამოწმებენ იქ მყოფნი ს.-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენლები: მასწავლებელი ქალი ჯობავსი და მოწაფე გ. კობახიძე.

აქ სიტყვის თავისუფლებაც დაირღვიეს ამავე პირებმა, რომლებიც მედგრად გაეძახოდენ: „ჩვენ მოგვიკოთ თავისუფლება, ჩვენ ვიმოქმედოთ თავისუფლებისათვის“ ო. მაგრამ ამით არ დასრულდა კიტას დემაგოგია და ისიც შესძახა ხალხს, რომ „ეროვნულ დემოკრატებს და ს. ფედერალისტებს ბატონ-ყმობა უნდათო, მკითხველი მიხვდება თვითონ, რად დასჭირდა კიტიას ასეთი სიცრუესთვის და საშინელ დემაგოგიისათვის მიეშინოთ. ამ სიტყვებს კიტიასას დაამოწმებენ ფედერალისტების წარმომადგენლები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ხრიკებისა და დემაგოგიისა ხეთში ეროვნულ-დემოკრატებმა 200-მდე ხმა მაინც მიიღეს, მაშინ როდესაც ათის მიღებაზედაც იმედი დაგვიკარგეს. ნათქვამია „სანთელი თავის გზას არ დაკარგავსო“. სინამდვილე ამართლებს ამ ნათქვამს. ნიშნები უკვე სჩანს.

ს. ᲮᲔᲗᲘ. ᲕᲘᲜ.

ᲛᲝᲬᲘᲠᲚᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

სოფ. ᲓᲘᲚᲘᲙᲐᲣᲠᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝ (ᲗᲝᲠᲐᲒᲜᲘᲡ მაზრა).

ამ სოფელში აღმოჩნდა რკინის აბანო, რომელიც თვისაც დღემდის ყურადღება არავის მოუქცევია. ხუთის წლის წინეთ ბატიკეტმელმა გიორგი კანანავილმა გაუკეთა აბანოს აუზი, აშენა სახლი, გააკეთა ვანები, ოთახები, რომელნიც ყოველდღე საღამოა ალბთან და ორ სამ დღეში ვინახავე ვერ შოულობენ სიმკურნალისა გამო. ეს აბანო დიდად უხდება ყოველ ნაირ ავათმყოფს და განსაკუთრებით რევმატიზმიანს. დღემდე გაუგებრობისა გამო მიყრუებულია და არავის არც ანალიზი უყვია და არც ეკითმს უნახავს. მე ჩემის თვალით მინახავს, იქ მიყვანილი ურმით რევმატიზმით შეპყრობილი კუნტი ავათმყოფი მორჩენილი ფეხით წასულიყოს ორი სამი ბანაობის შემდეგ. კარგი იქნება რომ ამ აბანოს ყურადღებას მიაცევდეს გუბერნიის ექიმი და გამოიკვლევდეს მის ვარგისობას. უახლოესი გზა აბანოსი არის ქ. ყვირილიდგან 8 ვერსის მანძილზედ.

მღ. სპ. ᲭᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲘᲓᲐᲜ.

მეორე სტატია.

პრაპორშჩიკი კონელენკო აარსებს მეორე სტატიას ქ. დეინსკში. მოგიყვეს სტატიაც იცავენ დროებითი მთავრობის ერთგული ჯარები: მთელი კორპუსი ყაზახთა ჯარებისა, დამკვრელი რაზმები და ბრონეკიანები. მიდგომა ყოველად შეუძლებელია.

მინსკი.

ბოლშევიკებმა სტატია კონტრეოლუციონურად გამოაცხადეს, გენ. დუბოონინკი-გამეკვლამ. მასთან ერთთან წინადადებ მისცეს ფრონტს, არგაუშვან ჯარი ფრონტიდან სტატიის დასაცველათ სამხედრო-სარეოლუციო კომიტეტს ნებადაერთოველათ.

გენ. ჩერეპნოვის დაპატიმრება.

როდესაც გენერალ ჩერეპნოვემა მიიღწია ვარშავის სადგურს თავის ოჯახობით განსაკუთრებულ ვაგონით, იგი შეიპყრეს კომისარის განკარგულებით და წაიყვანეს სმოლნი ინსტიტუტში, საიდანაც ის გაგზავნილ იქმნა პეტრე-პავლეს სატუსალოში.

სტანკევიჩის პროტესტი.

სტატიის მთავარი კომისარი პორუჩიკ. სტანკევიჩი აცხადებს პროტესტს კომისარი ვოიტინსკის, ზუბინნ და მე-5 არმიის კომანდირის გენ. ბოლდირევის შეპყრობის გამო. ამბობს: „გენ. ბოლდირევი-ეს ერთათ ერთი გენერალია, რომელიც ერთგულ სამსახურს უწევდა რევოლუციურ არმიას. როდესაც დამარცხდა რუსის ჯარი რიგის ფრონტზე და მთავარ სარდალი კორნილოვი შეეცადა გადეკიცხა რევოლუციური არმია, გენ. ბოლდირევმა მას ამის ნება არ დართო“.

ამასთანავე სტანკევიჩი მოუწოდებს მთელს არმიას და ფრონტს გამოაცხადონ პროტესტი მათ მიმართ, ვინც ეს პირი შეიპყრო.

ᲚᲣᲪᲘᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐ.

კიევის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის გამგე ზარუბინმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ლამით, 13 ნოემბერს ქალ. ლუცკი დაუბყრიათ ბოლშევიკებს და მაროვა-გამგე